"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

გურამ ოდიშარიას სვეტი

გასაუბრება 1998-2004 წლების დღიურთან

გაგრძელება

* ბაქოში, აფხაზ ახლობელს და მე, აზერბაიჯანელი კინორეჟისორი გვიყვება: როდესაც ყარაბახში ომი დაიწყო, ორ სოფელში განსაკუთრებულად სახიფათო ვითარება შეიქმნა - ერთ სოფელში მოსახლეობის უმრავლესობა სომეხი იყო, მეორეში - აზერბაიჯანელი. სოფლების გეოგრაფიული მდებარეობის და მოსალოდნელი საშიშროების გამო აზერბაიჯანელებმა და სომხებმა გადაწყვიტეს, სახლები გაეცვალათ, შეთანხმდნენ, წინასწარ მოინიშნეს გასაცვლელი სახლები და ერთ მშვენიერ დღეს მსუბუქი თუ სატვირთო მანქანებით, ტრაქტორებით, ურმებით, ცხენებით, თავიანთი ქონებით დატვირთულებმა, ფაქტობრივად, სახლები კი არა, სოფლები გაცვალეს.

არც პოლიტიკოსებსა და არც სამხედროებს მათთვის არ ეცალათ. ისინიც ადგნენ და აი, ასე გაცვალეს სოფლები.

ოღონდ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ძაღლებსა და კატებს ორიენტირები აერიათ - მათი მშობლიური სახლი ერთ სოფელში იყო, პატრონი კი - უკვე მეორეში ცხოვრობდა. მთელი ნახევარი წლის განმავლობაში მიმოდიოდნენ ისინი სოფლებს შორის. ძაღლები ღამით ძველ სახლებს დარაჯობდნენ, დღისით კი პატრონებთან იყვნენ, კატებიც მათ დაყვებოდნენ.

ვუსმენ კინორეჟისორს და ვფიქრობ: ნეტავ კინო გადაეღო ვინმეს ან ვიდეოფირზე აღებეჭდათ, როგორ გადადიოდნენ და გადმოდიოდნენ იმ სოფლებს შორის არსებულ გორაკებსა და ველებზე ძაღლები და კატები ღამით თუ დილაუთენია, როგორ ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს გზაში, როგორ არ ერჩოდნენ ერთმანეთს, როგორები გახადა ისინი ომმა, რა დამართა..

ის ფილმი ომზე გადაღებული ერთ-ერთი ჭეშმარიტი ფილმი იქნებოდა.

* ერევანში აზერბაიჯანელი კინორეჟისორის - იავერ რზაევის ომზე გადაღებული ფილმი "ყვითელი პატარძალი" ჩაგვაქვს და ერთ-ერთ დარბაზში ვაჩვენებთ. ფილმის დასრულების შემდეგ ერევნის რადიოს კორესპონდენტი მეცნობა და ამ ისტორიას მიყვება: დეიდაჩემი აზერბაიჯანში ცხოვრობდა; ყარაბახის ომის შემდეგ ლტოლვილია და ახლა აქ, ერევანში, ცხოვრობს. აზერბაიჯანში მას თხუთმეტი წლის ბიჭი გარდაეცვალა; ჩემი ბიძაშვილი, რა თქმა უნდა, იქაა დასაფლავებული.

ერთ დღეს, დეიდაჩემი, ყველასაგან მალულად აზერბაიჯანის საზღვრისაკენ გაემართა, შვილის საფლავი უნდა მოვინახულოო. ჯერ სომეხი მესაზღვრეები არ უშვებდნენ - შენთვის იქ საშიშია შესვლაო, შემდეგ - აზერბაიჯანელებიც. მაგრამ დეიდაჩემმა ერთნიცა და მეორენიც დაარწმუნა, რომ აუცილებლად უნდა ენახა შვილის საფლავი, სიზმრებში თხოვდა შვილი ამას. გზა მისცეს შაოსან ქალს.

უპირველესად, თავის სახლში მივიდა. იქ ახლა სომხეთიდან ლტოლვილი აზერბაიჯანელთა ოჯახი ცხოვრობს. მათ უთხრა, მე სახლზე არ ვფიქრობ, შვილის საფლავი უნდა ვნახოო.

დეიდაჩემმა ოთხი დღე დაჰყო თავის სახლში, ყოველდღე შვილის საფლავზე დადიოდა. აზერბაიჯანელებმა უმასპინძლეს, შემდეგ სატკივარი ერთმანეთს გაუზიარეს, მეხუთე დღეს კი საზღვრამდე მიაცილეს დეიდაჩემი. ახლა ჩემი ბიძაშვილის საფლავს ისინი პატრონობენ.

* ბაქოში მიყვებიან: ყარაბახის ომის დაწყებამდე ერთმა ყარაბახელმა სომეხმა ყარაბახელი აზერბაიჯანელისაგან სადურგლო დაზგა იყიდა. ასე მოილაპარაკეს - როდესაც სომეხი შემოდგომაზე ხილს გაყიდდა, ფულსაც მაშინ მისცემდა.

მაგრამ ომი დაიწყო და მალე აზერბაიჯანელს ყარაბახის დატოვება მოუწია. ის ახლაც აზერბაიჯანში, კომპაქტურ ცენტრში ცხოვრობს.

ომის დასრულებიდან შვიდი წლის შემდეგ მასთან მივიდა ერთი ბაქოელი კაცი და 500 დოლარი გადასცა. უთხრა: ყარაბახის ომამდე დაზგა გაგიყიდია, შენი დაზგის მყიდველი მოსკოვში გავიცანი და აი, დაზგის საფასური გამოგიგზავნა და დიდი მოკითხვაც შემოგითვალაო.

* ყარაბახის კონფლიქტის მონაწილე მიყვება: ერთ-ერთი ბრძოლისას რომელიღაც სახლში გავმაგრდით. იატაკზე მიმოფანტულ წიგნებსა და რვეულებს შორის თვალში მომხვდა სასკოლო რვეული. ავიღე და გადავშალე. მერვეკლასელ მოსწავლეს დაეწერა თემა - "სსრკ ხალხთა მეგობრობა". ხუთიანი მიიღო იმ საკონტროლოში. ვკითხულობდი მის ნაწერს და ვტიროდი.

* ბაქოში მიყვებიან: ერთმა ყარაბახელმა ცნობილმა ქირურგმა მოსკოვში ერთ სომეხ კაცს რთული ოპერაცია უფასოდ გაუკეთა. როდესაც სომეხი სამშობლოში ჩავიდა, მეგობრები აიყვანა ყარაბახში, მოძებნა იმ აზერბაიჯანელი ქირურგის სახლი, ვიდეოკამერით გადაიღო იქაურობა, მდელოზე პურ-მარილი გაშალა და თუთის არყით სავსე ჭიქით დალოცა ქირურგი. სადღეგრძელოცა და მთელი სუფრაც გადაიღო და მოსკოვში გაუგზავნა მას.

მითხრეს, იშვიათ სადღეგრძელოს ამბობს სომეხი კაციო. სამწუხაროდ, გადაღებული კადრები ვერ მიჩვენეს, ვიღაცამ წაიღო, აქ ბევრი უყურებს იმ ფირსო.

* მეგობარმა ქალბატონმა მთხოვა, მონაწილეობა მიმეღო თბილისში გამართული სომეხი და აზერბაიჯანელი შვილდაკარგული დედების შეხვედრაში.

მათი შვილები უგზო-უკვლოდ არიან დაკარგული და დედები მათ გზა-კვალს მერამდენე წელია, უშედეგოდ დაეძებენ.

უმძიმესი შეხვედრა იყო, უამრავი ტრაგიკული ისტორია მოვისმინე.

შეხვედრის ორგანიზატორებმა დედებს კაცუნების სურათები დაურიგეს. თითოეულ ფურცელზე ორი კაცუნა იყო გამოსახული - ერთი მოცინარი, მეორე კი მოტირალი. დედებს სთხოვეს, წითელი ფლომასტერით აღენიშნათ ადამიანის სხეულის ის ნაწილი, რომლითაც იგი სიხარულს განიცდის (მოცინარი კაცუნა); ასევე, ანალოგიურად მოენიშნათ, ის ნაწილი, რომელიც მას მწუხარებისას ტკივა (მოტირალი კაცუნა). როდესაც მათი ფურცლები დავათვალიერე, აღოჩნდა, რომ მოცინარ და მოტირალ კაცუნებს - ყველას ფლომასტერით გულზე წითელი ჯვარი ჰქონდა დასმული.

რაც ნიშნავდა: ადამიანთა სიხარულისა და მწუხარების დამტევი თუ ვერ დამტევი - გულია. ვინ ჩაწვდება ომს შვილდაკარგულ დედებზე მეტად.

გაგრძელება იქნება

გამოკითხვა

თბილისიდან მოსკოვისკენ აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა პრინციპულად უნდა დაუკავშირდეს თუ არა დევნილების დაბრუნების საკითხს?

ნინო კაკულია, ჟურნალისტი, 33 წლის: "ერთი მხრივ, შეიძლება ასეც ჩანდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, ფაქტია, რომ დევნილების დაბრუნება გაცილებით რთული პროცესია, დაკავშირებულია უამრავ პრობლემასთან, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია უსაფრთხოება. როდესაც რაღაც პროცესი ერთბაშად ხდება, ეს უფრო მეტ შიშს და აგრესიას იწვევს, ხოლო როცა ეტაპობრივად და თანმიმდევრულად მიმდინარეობს, ადამიანები უფრო უმტკივნეულოდ იღებენ დევნილების დაბრუნების პროცესს. შეიძლება, რკინიგზა აღადგინო და დევნილების დაბრუნების საკითხი მერე დააყენო, ეს მაინც პოლიტიკური საკითხია. რკინიგზის აღდგენა კი უფრო ეკონომიკური კავშირურთიერთობების დამყარებას შეუწყობს ხელს და ეკონომიკურად საქართველოსთვისაც სარგებლის მომტანი იქნება, თუმცა, აქ უამრავი სხვა სახის პრობლემაც ჩნდება, რომელთაც დიდი ყურადღება სჭირდება."

გოჩა ბლიაძე, ბიოქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, 43 წლის: "მე ვფიქრობ, რომ თუ ამ საკითხზე ჩვენს ხელისუფლებას მითითება აქვს ამერიკის მხრიდან, მაშინ რუსეთთან მოილაპარაკებენ და რკინიგზის აღდგენას დევნილების დაბრუნების საკითხს არ დაუკავშირებენ. თუმცა, რამდენად შეძლებს ჩვენი მთავრობა გააკონტროლოს იმ ტვირთის მოძრაობა, რაც ამ რკინიგზის საშუალებით გაივლის, ესეც საკითხავია. თუ ეკონომიკური კუთხით განვიხილავთ, ამ რკინიგზას საქართველოსთვის უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია, ვიდრე აფხაზეთისთვის. ყველაზე დაინტერესებული მხარე კი, რასაკვირველია, სომხეთია, ამიტომ მათ კეთილი უნდა ინებონ და მხარი დაგვიჭირონ აფხაზეთის პრობლემების მოგვარებისას ყველა საკითხში."

ციალა მარგიანი, აფხაზეთიდან დევნილი, 52 წლის: "გალის რაიონში ისედაც დაბრუნდნენ დევნილები. რკინიგზის აღდგენამ, ეგებ, ხელი შეუწყოს ურთიერთობების განახლებას. იმ მატარებელში რომ დაჯდები, პირამოკერილი ხომ არ იქნები, ხო დაელაპარაკები ვინმეს. თუმცა, რა ვიცი, თუ ჩვენ ეგ რკინიგზა ხეირს არ მოგვიტანს, მაშინ რა საჭიროა?"

ნინო გურგენიძე, აფხაზეთიდან დევნილი, 26 წლის: "მე, პირადად, იმედი არა მაქვს, რომ რაიმე უკეთესობისაკენ შეიცვლება, გინდაც რკინიგზა აღადგინონ".

ხათუნა ხუციშვილი, ეკონომისტი, 31 წლის: " მიმაჩნია, რომ რკინიგზის აღდგენა პრინციპულად უნდა დაუკავშირდეს საქართველოს იურისდიქციის აღდგენას. ჯერ ერთი, აფხაზეთი და საქართველო სხვადასხვა ეკონომიკურ სივრცეში არიან, სხვადასხვა კანონები მოქმედებს და ამით აფხაზეთი რუსულ ეკონომიკურ სივრცეს უფრო დაუკავშირდება. რკინიგზა რომ აღდგეს, იურიდიულად ყველაფერს სწორი საფუძველი უნდა ჰქონდეს, რომ ჩვენ არაპირდაპირ არ ვაღიაროთ აფხაზეთის დამოუკიდებლობა. როგორ მოახერხებს ამას ჩვენი მთავრობა? აფხაზეთი ასეთ მოლაპარაკებაზე და დათმობაზე არ წამოვა, არადა მოლაპარაკება უნდა იყოს არა რუსეთთან, არამედ, პირველ რიგში, აფხაზეთთან, სადაც გადამწყვეტი სიტყვა საქართველომ უნდა თქვას".

ვანო კაპანაძე, მძღოლი, 57 წლის: "ჩვენი მთავრობა სულ სხვას ამბობს და სხვას აკეთებს. ადრე იძახდნენ, რომ სანამ აფხაზეთს არ დავიბრუნებთ, რკინიგზა არ აღდგებაო, მერე ამბობდნენ, თუ რკინიგზა გინდათ, დევნილები დააბრუნეთო. როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ. საბოლოო ჯამში გამოდის, რომ გულში მჯიღს ვიბრახუნებთ, მაგრამ სულ რაღაცას ვთმობთ და სამაგიეროდ არაფერს ვიღებთ".

პროექტი "თქვენი აფხაზეთი"
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

პროექტი

აფხაზეთის პარლამენტის სტრუქტურა და კომპეტენცია

"24 საათში" აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული რამდენიმე კონცეფცია დაიბეჭდა. როგორც აღმოჩნდა, არასამთავრობო სექტორში ამ მხრივ მუშაობა გრძელდება და სულ უფრო კონკრეტულ ხასიათს იძენს. ამის დასტურია წინამდებარე პროექტიც, რომელიც უსათუოდ საინტერესო უნდა იყოს.

1992-93 წლებში აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა აფხაზეთში სრულად დაბრუნების, ამ პირთა და აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სიტუაციის სტაბილიზაციის შემდეგ **დროებითი საკოორდინაციო საბჭო** (საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლების, **გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის (თავმჯდომარე)**, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლების მონაწილეობით) ნიშნავს აფხაზეთის რესპუბლიკის საპარლამენტო არჩევნების თარიღს.

აფხაზეთის პარლამენტის არჩევნების ჩასატარებლად შეიქმნება **ცენტრალური საარჩევნო კომისია** შვიდი წევრის შემადგენლობით (**გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი (თავმჯდომარე),** საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ დანიშნული სამ-სამი წევრი).

აფხაზეთის პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული საპარლამენტო რესპუბლიკა.

გარდამავალ ეტაპზე, არსებული წინააღმდეგობების უფრო ეფექტურად განეიტრალების, აფხაზეთის მრავალეროვანი (აფხაზები, ქართველები, სომხები, რუსები, ბერძნები, სხვა) მოსახლეობის პოლიტიკური უფლებების დაცვის და მდგრადი სტაბილურობის შენარჩუნების თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, რომ აფხაზეთის პარლამენტი იყოს ორპალატიანი.

საყოველთაო, თავისუფალი და პირდაპირი არჩევნების შედეგად აფხაზეთის პარლამენტში მანდატების უმრავლესობის მქონე პოლიტიკური პარტია (საარჩევნო ბლოკები) აკომპლექტებენ მთავრობას (კოალიციურ მთავრობას), რომელიც პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

მთავრობას ხელმძღვანელობს **პრემიერ-მინისტრი**, რომელიც არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში.

პრემიერ-მინისტრად შეიძლება არჩეულ იქნეს აფხაზეთის მოქალაქე (აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე), 35 წლის ასაკიდან, რომელიც დაბადებულია აფხაზეთში და უცხოვრია იქ არანაკლებ 15 წლისა, აქედან 1992 წლამდე 5 წელი მაინც. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატისათვის სავალდებულოა ორივე სახელმწიფო ენის (აფხაზური, ქართული) ცოდნა.

აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ:

ა) საქართველოს პრეზიდენტს

ბ) აფხაზეთის პარლამენტის ორივე პალატის თავმჯდომარეს

გ) აფხაზეთის პარლამენტის ფრაქციებს

პრემიერ-მინისტრი არჩეულად ითვლება, თუ კანდიდატმა მიიღო აფხაზეთის პარლამენტის როგორც თითოეული პალატის, ასევე პარლამენტის სიითი შემადგენლობის ხმათა 2/3 მაინც.

1. აფხაზეთის პარლამენტი არის აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანო. იგი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით არჩეული **46 წევრისაგან**.

აფხაზეთის პარლამენტი განახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს აფხაზეთის საშინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს აფხაზეთის მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

2. აფხაზეთის პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით, **პროპორციული სისტემით არჩეული 35 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 11 პარლამენტის წევრისაგან.**

აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან: **რესპუბლიკის საბჭო** (ქვედა პალატა) და **სენატი** (ზედა პალატა).

ქვედა პალატის (რესპუბლიკის საბჭოს) შემადგენლობა განისაზღვრება პროპორციული სისტემით არჩეული 35 დეპუტატისაგან, ხოლო სენატის (ზედა პალატა) შემადგენლობა 11 მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატისაგან.

3. პარლამენტის ორივე პალატის არჩევნები ტარდება ერთდროულად და ფარული კენჭისყრით აირჩევა 4 წლის ვადით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

4. რესპუბლიკის საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკურ პარტიებს, გაერთიანებებს, საარჩევნო ბლოკებს, აგრეთვე, საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური პარტიების რეგისტრირებულ აფხაზეთის რესპუბლიკურ ორგანიზაციებს, გაერთიანებებს, საარჩევნო ბლოკებს, რომელთა ინიციატივა დადასტურებულია აფხაზეთის რესპუბლიკაში მცხოვრები არანაკლებ 3000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

5. სენატის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიღებისათვის კანდიდატის ინიციატივა დადასტურებული უნდა იყოს აფხაზეთის რესპუბლიკაში მცხოვრები 1000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

6. რესპუბლიკის საბჭოს წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ პარტიათა, გაერთიანებათა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების **არანაკლებ 5 %-სა.**

7. აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების მოწყობისა და მორიგი არჩევნების ჩატარების წესს განსაზღვრავს აფხაზეთის რესპუბლიკის ორგანული კანონი "აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების შესახებ".

საარჩევნო ცენზი

8. აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი შეიძლება იყოს აფხაზეთში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქე. აფხაზეთის პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე აფხაზეთის მოქალაქე - რესპუბლიკის საბჭოში (ქვედა პალატა) **25 წლის ასაკიდან**, ხოლო სენატში (ზედა პალატა) **30 წლის ასაკიდან**. აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა საკანონმდებლო ორგანოს წევრი.

9. აფხაზეთის ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება არჩევნების დასრულებიდან 20 დღის განმავლობაში. **პირველი სხდომის დღეს ნიშნავს დროებითი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე**. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია თითოეულ პალატაში ასარჩევი დეპუტატთა არანაკლებ 2/3-ის უფლებამოსილება.

10. ახალარჩეული პარლამენტის დეპუტატთა არანაკლებ 2/3-ის უფლებამოსილების ცნობის დღიდან ორი წლის განმავლობაში აფხაზეთის პარლამენტი უზრუნველყოფს აფხაზეთში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციასთან, იღებს აფხაზეთის რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციას და კონსტიტუციით გათვალისწინებულ საკანონმდებლო აქტებს.

11. პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს მხოლოდ აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში.

12. აფხაზეთის პარლამენტის წევრი არის სრულიად აფხაზეთის წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია. პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

13. აფხაზეთის პარლამენტის წევრს უფლება აქვს, ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

აფხაზეთის პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში და მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

14. უზრუნველყოფილია აფხაზეთის პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას.

15. დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

16. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.

17. აფხაზეთის პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს.

18. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობას ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. აფხაზეთის პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში.

19. აფხაზეთის პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე მას მოეხსნა უფლებამოსილება ;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

დ) დაიკავა აფხაზეთის პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

ე) დაკარგა აფხაზეთის მოქალაქეობა;

ვ) არასაპატიო მიზეზით 4 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა აფხაზეთის პარლამენტის მუშაობაში;

ზ) გარდაიცვალა.

20. აფხაზეთის პარლამენტის ორივე პალატის წევრს გააჩნია დეპუტატის თანაბარი სტატუსი, როგორც ხალხის სრულუფლებიან წარმომადგენელს პარლამენტში.

21. **რესპუბლიკის საბჭო** - აფხაზეთის რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამების შემდეგ ცნობს არჩევნებში გამარჯვებული პარტიების, გაერთიანებების, საარჩევნო ბლოკების მიერ გაყვანილი დეპუტატების არჩევას და ერთი კვირის ვადაში დეპუტატთა შესაბამის სიას გადასცემს რესპუბლიკის საბჭოს.

ახლად არჩეული საკანონმდებლო პალატა თავის პირველ სხდომაზე ისმენს სამანდატო კომისიის დასკვნას და კენჭისყრით ადასტურებს რესპუბლიკის საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილებას. რესპუბლიკის საბჭო თავისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგება მის წევრთა შემადგენლობის არა ნაკლებ 2/3-ის უფლებამოსილების დადასტურების შემთხვევაში.

რესპუბლიკის საბჭოს პირველ სხდომას იწვევს დროებითი საკოორდინაციო საბჭო არჩევნების დასრულებიდან არა უგვიანეს 20 დღისა.

გ) რესპუბლიკის საბჭოს პირველ სხდომას უძღვება უხუცესი დეპუტატი.

დ) რესპუბლიკის საბჭოს პირველი სხდომა ისმენს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშს და აცხადებს შემაჯამებელ შედეგებს, რის შემდეგაც არჩევნების მასალებს და საჩივარ-განცხადებებს - გადასცემს პალატის მიერ არჩეულ დროებით სამანდატო კომისიას.

ე) რესპუბლიკის საბჭოს პირველი სხდომა ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს (სპიკერს), მის მოადგილეს (მოადგილეები) და კომიტეტების თავმჯდომარეებს.

ვ) პალატის სპიკერი უძღვება პალატის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პალატის მიერ მიღებულ აქტებს და ასრულებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

ზ) რესპუბლიკის საბჭო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს აფხაზეთის კონსტიტუციით განსაზღვრული საკითხები.

22. რესპუბლიკის საბჭო:

ა) იღებს აფხაზეთის რესპუბლიკის კანონებს და დადგენილებებს.

ბ) კონტროლს აწესებს მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულებაზე.

გ) ისმენს და შეფასებებს აძლევს აფხაზეთის რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშებს.

დ) ირჩევს პალატის სპიკერს, მის მოადგილეს (მოადგილეები), მუდმივმოქმედი და დროებითი კომიტეტების თავმჯდომარეებს, ამტკიცებს კომიტეტების შემადგენლობებს.

ე) პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის წევრებს.

ვ) აძლევს თანხმობას აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურორის დანიშვნაზე;

ზ) აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის წარდგინების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე;

თ) იღებს გადაწყვეტილებას მის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების გათავისუფლების შესახებ.

ი) ქმნის აფხაზეთის რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს.

კ) უზრუნველყოფს აფხაზეთის რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობას აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებთან.

ლ) კანონით დადგენილი წესის მიხედვით მონაწილეობს აფხაზეთის რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირებაში.

მ) აწესებს აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებსა და წოდებებს.

ნ) ახორციელებს საქართველოს ცენტრალური და აფხაზეთის რესპუბლიკის ნორმატიული აქტებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.

23. აფხაზეთის რესპუბლიკის საბჭოს რეგლამენტი

ა) რესპუბლიკის საბჭოს რეგლამენტი არის პალატის მუშაობის ორგანიზაციის, საკანონმდებლო პროცედურების და დისციპლინური საკითხების განმსაზღვრელი წესების ძირითადი შიდანორმატიული აქტი.

ბ) სესიების და სხდომების პერიოდულობა და მოწვევის წესი განისაზღვრება რეგლამენტით.

24. რესპუბლიკის საბჭოს საქმიანობის შეწყვეტა

აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის რესპუბლიკის საბჭოს პალატის საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) უფლებამოსილების ვადის ამოწურვა

ბ) როდესაც ვერ ადასტურებს მისი წევრების 2/3 –ის უფლებამოსილებას.

გ) აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო, რომლითაც რესპუბლიკის საბჭოს არჩევნები არაკონსტიტუციურად არის ცნობილი.

დ) რესპუბლიკის საბჭოს დათხოვნის საფუძველი შეიძლება იყოს ვითარება, როდესაც ის ვერ ასრულებს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებამოსილებებს;

ე) საკანონმდებლო პალატის უფლებამოსილების შეწყვეტა მექანიკურად არ იწვევს სენატის საქმიანობის შეწყვეტას.

25. **სენატი** - მაჟორიტარული წესით არჩეული 11 წევრისგან შემდგარი ზედა პალატაა. ადგილები სენატში განაწილდება შემდეგი პრინციპით:

1. ქ. გაგრის ზონა - 1
2. გუდაუთის რაიონი - 1
3. სოხუმის რ-ნი - 1
4. ქ. სოხუმი - 3
5. გულრიფშის რ-ნი - 1
6. ოჩამჩირის რ-ნი - 1
7. ქ. ტყვარჩელი - 1
8. გალის რ-ნი -2

26. სენატის წევრთა უფლებამოსილების ცნობა, დადასტურება და პირველი სხდომის ჩატარება წარმოებს იგივე პროცედურით, რაც განსაზღვრულია რესპუბლიკის საბჭოსათვის.

ა) სენატისა და რესპუბლიკის საბჭოს სხდომები ტარდება ცალ-ცალკე.

ბ) სენატის მუშაობის ორგანიზაცია, საქმიანობის წესი, პროცედურები და სესიების ჩატარების პერიოდულობა განისაზღვრება სენატის რეგლამენტით.

27. სენატის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

ა) აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოების დამტკიცება;

ბ) საქართველოს ცენტრალური და აფხაზეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის აღსრულებაზე კონტროლის დაწესება.

გ) აფხაზეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა.

დ) აფხაზეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესის განსაზღვრა, ქალაქების, რაიონების, ქალაქებში შემავალი რაიონების, დაბების და სხვა დასახლებული პუნქტების შექმნა და სახელის შეცვლა. ქალაქების დაქვემდებარების წესის დადგენა.

ე) ინფორმაციების მოსმენა აფხაზეთის რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განვითარების პროგრამების, აგრეთვე, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ უმნიშვნელოვანესი პროგრამების დამტკიცება;

ვ) რეფერენდუმისა და პლებისციტის საკითხებზე შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისათვის ხელის შეწყობა.

ზ) სენატის თავმჯდომარისა და სამუშაო ორგანოთა ხელმძღვანელობის არჩევა.

თ) აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა.

ი) მოქალაქეთა განცხადებების (პეტიცია) შესწავლა და კანონით დადგენილი კონტროლის დაწესება.

კ) კონსტიტუციით და კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებამოსილებათა შესრულება.

28. სენატი კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით ქმნის დარგობრივ სამდივნოებს თავისი შეხედულებისამებრ. სენატის შემადგენლობაში სავალდებულოა საპეტიციო კომისიის შექმნა, რომელსაც ევალება განიხილოს მოქალაქეთა საჩივრები და თხოვნები. სენატორთა ერთი მესამედის მოთხოვნის საფუძველზე სენატში შეიძლება შეიქმნას დროებითი კომისიები და სამუშაო ჯგუფები.

29. სენატის მონაწილეობა კანონშემოქმედებით საქმიანობაში

ა) რესპუბლიკის საბჭოს მიერ მიღებული კანონები 7 დღის ვადაში განიხილება სენატის მიერ. კანონი დადასტურებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სენატორთა სიითი შემადგენლობის 2/3-მა მაინც ან კიდევ, თუ სენატმა კანონით დადგენილ ვადაში არ განიხილა რესპუბლიკის საბჭოს მიერ მიღებული კანონი.

ბ) სენატის მიერ კანონის უარყოფის, ან მასში ცვლილებებისა და შესწორებების შეტანის შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას შემთანხმებელი კომისია. ასეთი კანონი დადასტურებულად ჩაითვლება, თუ განმეორებითი განხილვის დროს მას ხმა მისცა რესპუბლიკის საბჭოს სიითი შემადგენლობის 2/3-მა მაინც. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში კანონი მიღებულად არ ჩაითვლება.

30. სენატის საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლები:

ა) უფლებამოსილების ვადის ამოწურვა.

ბ) აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სენატის არჩევნების სენატორთა უმრავლესობის უფლებამოსილების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე.

გ) ვადამდელი არჩევნების ან სენატის წევრთა ხელახალი წევრების შევსების წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი (არჩევნების შესახებ).

31. აფხაზეთის პარლამენტის პალატების სამუშაო ორგანოები

აფხაზეთის პარლამენტის რესპუბლიკის საბჭო და სენატი სესიებს შორის პერიოდში საქმიანობის განხორციელებისათვის ქმნიან ბიუროებს, რომელთა ფუნქციებში შედის:

სესიებისა და სხდომების მოწვევა;

სესიების მომზადება და შესაბამისი დღის წესრიგის დამტკიცება;

კომიტეტების, დროებითი კომისიების და სამდივნოების საქმიანობის კოორდინაცია;

დეპუტატების უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელის შეწყობა;

არჩევნების, რეფერენდუმებისა და პლებისციტის მომზადების, ჩატარებისა და სათანადო პირობების შექმნისათვის ხელის შეწყობა;

რესპუბლიკის საბჭოსა და სენატის აპარატის ფორმირება და შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფა;

რესპუბლიკის საბჭოში და სენატში დეპუტატებს უფლებამოსილება აქვთ, შექმნან და გაერთიანდნენ ფრაქციებში. **რესპუბლიკის საბჭოს ფრაქციის** რეგისტრაციაში გატარებისათვის მის შემადგენლობაში უნდა იყოს სულ მცირე **5 დეპუტატი,** ხოლო **სენატის ფრაქციაში** არანაკლებ **3 დეპუტატისა**. მათი შექმნის, რეგისტრაციის და საქმიანობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

32. აფხაზეთის პარლამენტის ერთობლივი სხდომები ტარდება შემდეგ საკითხებზე:

ა) კონსტიტუციის და კონსტიტუციური კანონის მიღებისას.

ბ) აფხაზეთის რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონის მიღებისას.

გ) თვითმმართველობის კანონის მიღებისას.

დ) საქართველოს პრეზიდენტის მიერ აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის მუშაობის შეჩერების საკითხზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას.

ე) აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის არჩევისას

ვ) აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის მიერ აფხაზეთის პარლამენტის დათხოვნისას.

ზ) რესპუბლიკური მნიშვნელობის პროექტებისა და პროგრამების დამტკიცებისას.

თ) პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხზე.

ი) აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას.

33. კენჭისყრის წესი

1. რესპუბლიკის საბჭოში კანონპროექტი ან ნებისმიერი დადგენილება მიღებულად ჩაითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 -სა, საერთოდ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას უნდა ამოქმედდეს მაღალი ქვორუმის (2/3) პრინციპი.

2. სენატის მიერ კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სენატორთა სიითი შემადგენლობის 2/3 მაინც.

3. ორგანული კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის დეპუტატთა სიითი შემადგენლობის 2/3 მაინც.

4. კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონი მიიღება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის 3/4 მაინც.

34. სასამართლო ხელისუფლება

საკონსტიტუციო კონტროლის (ზედამხედველობის) განხორციელების მიზნით აფხაზეთში აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა, რომელიც დაკომპლექტდება პარიტეტულ საწყისებზე საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ.

აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლო განახორციელებს კონტროლს კონსტიტუციის შესრულებაზე. კერძოდ, განახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოების და ცალკეული თანამდებობის პირთა საქმიანობის შესაბამისობას აფხაზეთის კონსტიტუციასთან.

აფხაზეთის კონსტიტუციის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე კონტროლს განახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

თემურ ჩილაჩავა
სოხუმის უნივერსიტეტის
პროფესორი
ლალი გაბისონია
სახელმწიფო და
საკონსტიტუციო სამართლის
კათედრის გამგე,
იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი
შოთა ახალაია
მათემატიკისა და კომპიუტერულ
მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი